დიდი ზომის ძუძუმწოვრების (ირემი, დათვი, მგელი) რიცხოვნობის დინამიკა საქართველოს დაცულ ტერიტორიებში

მარიამ სულამანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობაში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნუგზარ ზაზანაშვილი, ასოც. პროფ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

მარიამ სულამანიძე

26.06.2014

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საკმაოდ აქტუალურ საკითხს, სახელდობრ დიდი ზომის ძუძუმწოვრების პოპულაციების რიცხოვნობის დინამიკას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. სამიზნე სახეობებად შერჩეულ იქნა ე.წ. ქოლგა-სახეობები, როგორიცაა კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), მურა დათვი (*Ursus arctos*) და რუხი მგელი (*Canis lupus*), რომელთა მდგომარება პირდაპირ თუ ირიბად მიანიშნებს, მთლიანად, ეკოსისტემების „სიჯანსაღეზე“ და, ჩვენს შემთხვევაში, იმავდროულად - დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის ეფექტურობაზე. ამასთან, ირემი და მურა დათვის საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი. მოპოვებულ იქნა მრავალწლიანი (1980-2012, 2013) ინფორმაცია ამ სახეობების პოპულაციების რიცხოვნობის შესახებ სამ სამიზნე დაცულ ტერიტორიაში; ესენია ამჟამინდელი: ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები და თბილისის ეროვნული პარკი.

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა ზოგიერთი კანონზომიერება და ის საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახეობების დაცვისა თუ აღდგენის კონტექსტში. შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგებს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია - ისინი გადაეცემა სამიზნე დაცულ ტერიტორიებს და საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურაში არსებულ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, რაც წაადგება მენჯმენტის შემდგომ გაუმჯობესებას შესაბამის ორგანიზაციებში.